წლიწადი მეოთხე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი გიორგი

ირაკლიმ იცის, რომ ქართველთ
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჭირ-ქვეშ თავისუფლება.
ნ. ბარათაშვილი.

იქ ყველაფერი გვიადვილდება
სადაც ჩვენვე ვართ, ჩვენი ბატონი.
ი. ჭავჭავაძე.

პარიზი
1 იანვარი 1929 წელი.
№ 15

ქართველ პატრიოტთა ორგანო თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი.
Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens "THETHRI GUIORGUI"
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 93, rue Mademoiselle, PARIS-XVe

1er Janvier 1929
№ 15 Paris

## ა ხ ა ლ ი წ ე ლ ი.

დასრულდა ძველი წელი და ფეხი შევსდგით ახალ 1929 წელში.

თეთრი გიორგის რედაქცია მხურვალეთ ესალმება ძვირფას მკითხველებს და გამოსთქვამს თავის ცეცხლოვან რწმენას, რომ მომავალი წელი იქნება ქართველი ხალხისათვის და მასთან ქართველი ემიგრაციისათვის უფრო იმედიანი, ვიდრე წარსული წელი იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აზე კვლავ შავი ღრუბლები გროვდება, რაც საშუალებას გვისპობს ქართველებს, ჩვეული აღტაცებით და მხიარულად შევხვდეთ ერთმანეთს.

მაგრამ ჩვენთვის ნათელია და მას ჩვენთან ერთად ყოველი ჭეშმარიტი ქართველი ხედავს, რომ მტრის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, დღითი-დღე რთულდება, რომ ის მიექანება უფსკრულისაკენ, საიდანაც ისტორიის წინაშე მუდამ ქედმაღალი საქართველო თავისუფლებით ბუნებრივად გაიარება. ეს არ არის ლიტონი სიტყვა და უბრალო იმედი; მტრის მდგომარეობის ობიექტიური შეფასება ნათლად ღაღადებს ამას.

ქართველი ხალხი მზად უნდა იყოს ამ მომენტისათვის და თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი - ს საახალწლო აძლახილი ისე როგორც წარსულში იქნება: ეროვნულ ძალთა გაერთიანებისათვის ერთი ეროვნული ეშპლების გარშემო.

თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი მოურიდებლად განაგრძობს ასეთი მთლიანობისათვის ბრძოლას და თუ დღეს ეროვნული საქართველო ვერ არის საკმაოდ ძლიერი, ეს გამომდინარეობს ერთმანეთის არ გაგებიდან. მომენტი გვიბრძანებს დავივიწყოთ პარტიული, პირადი და კერძო ინტერესები, განაწამებ ერის სახსნელად.

საქართველოში კვლავ მძვინვარებს წითელი ტერორი. ქართველ მამულიშვილთა რიგებს ყოველდღე სტაცებს, ჩვენი სისხლით გაუმაძღარი მტერი საუკეთესო მებრძოლთ და ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ ქართველი ხალხი, როგორც ერთი არ დადგება თავის ეროვნული თავისუფლების სადარაჯოზე.

ჩვენი სადღეისო, ერთად-ერთი მიზანთაგანი, ხალხის ეროვნული დისციპლინით დარაზმვაში მდგომარეობს და ჩვენი გაზეთი ამას მთლიანად ემსახურება.

გაზეთ თეთრი გიორგი-ს მრავალი ნივთიერი და და სხვა ხასიათის დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ, მტრები გვერნი აღმოჩნდნენ; როგორც არ უნდა დაწვრილმანდნენ მოწინააღმდეგენი ჩვენთან ბრძოლის საშუალებებით, ამით თეთრი გიორგი არაფერს შესცვლის.

ჩვენი გაზეთი სარკეა სწორედ და ნათლად გამოსახატველი საქართველოს პატრ. ორგ. თეთრი გიორგი-ს სამოქმედო ხაზის და მის შეხედულებების საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე.

რედაქცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ თეთრი გიორგის ორგანიზაციას წარსულ წელში ჰქონდა თვალსაჩინო მიღწევები. ის ზომიერი, მტკიცე ნაბიჯით განაგრძობს წინ სვლას. დადგება დრო, როცა ეს მუშაობა შესაფერ ნაყოფს გამოიღებს და თეთრი გიორგის იდეები სტიქიურად მოედება ქართველ ერს.

ქართველი ხალხი იწამებს თეთრი გიორგი-ს, ამ მის მრავალ საუკუნოვან ეროვნულ სიწმინდის და გამარჯვების ემბლემას და მით გაიმარჯვებს.

გასული წელი აღინიშნა საქართველოს პატრიოტული ორგანიზაციის თეთრი გიორგის პირველი ყრილობის მოწყობით.

ყველასათვის ადვილი გასაგებია თუ რა ძნელი იყო ემიგრანტულ პირობებში ყრილობის მოწვევა, მაგრამ თეთრ გიორგელთა აღფრთოვანება, იდეური გატაცება და გულწრფელი შეგნება, მისი სასურველად ჩატარების საწინდარი იყო. თითქოს განგებამ ისურვა, რომ თეთრი გიორგის პირველი ყრილობა გახსნილიყო, გიორგობის თვეში, გიორგობა დღეს. წმინდა გიორგის ბრძოლის უხილავი შუქი დასტრიალებდა თავს ჩვენს პირველ ყრილობას და იგივე წაგვიძღვება წინ მომავალ მუშაობაში.

შორით, მწარე ბედის მიერ უცხოეთს გადატყორცნილნი, უკზავნით საქართველოს მშობელ მიწას გულწრფელ სურვილებით სავსე მილოცვას ახალი წლის დღესასწაულის გამო რათა აღსრულდეს ჩვენი პოეტის სიტყვები:

> ...ეს (ტყვია) მოხვდეს შენსა მოშურნეს
> და დაგიმარცხდეს მტერია;
> განაზარდეს ჩვენი ქვეყანა,
> გამრავლდეს ჩვენი ერია.

## თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ა.

24 გიორგობისთვე აღინიშნა როგორც ღზღლი დღე სამშობლოს ტანჯულ ისტორიაში. უგვანო ბედმა მოგვწყვიტა ჩვენს ქვეყანას და უცხო მხარეა თავშესაფარი დევნილთა. მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი გიორგის პირველი ყრილობა მოხდა უცხოეთში და არა საქართველოში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა ყრილობამ სათანადო გამოძახილი ჰპოვა პარიზში მყოფ ქართველ მამულიშვილთა შორის. დაესწრნენ უცხოეთში მყოფი, როგორც ქართველი ახალგაზრდობა, აგრეთ ქართველი სამხედრო თუ საზოგადო მოღვაწე პირები. მათ შორის: ბ—ნნი ქაქუცა ჩოლოყაშვილი მეუღლეებით, ღ ნერალი კვინიტაძე, ღენერალი ჭავჭავაძე, პოლკ. ს. წერეთელი, იოსებ დადიანი, კვიტაშვილი, ჯაყელი და სხვანი.

დამსწრე საზოგადოება ვზოველ ინტერესით მოელოდა ყრილობის გახსნას და მოუთმენლად შესცქეროდა თავმჯდომარის ადგილს, რომლის უკან კედლის სვეტებზე, თეთრი გიორგის სულის ჩამდგმელი, მთის არწივი ალექსანდრე ბატონიშვილის დიდი სურათის ირგვლივ, ლამაზად იყვნენ შემორიგებულნი, ჩვენი დიდებული ისტორიის შარავანდედნი: დავით, თამარი, ქეთევან, ნინო და ირაკლი; ამათ გვირგვინად ჩვენი სამღვთო ღერბი, ქართველ ხალხის ღვთაება თეთრი გიორგი და საქართველოს დროშა იყო.

დანიშნულ დროს, თავმჯდომარის ადგილი დაიკავა ბ—მა დიმიტრი ჭიაბრიშვილმა და ყრილობა გახსნა სიტყვებით: საქართველო უწინარეს ყოვლისა, რასაც დამსწრე საზოგადოებამ ფეხზედ ადგომით, ხოლო თეთრ—გიორგელებმა თავისი სალამით უპასუხეს.

«უსაზღვროდ ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ მერგო წილად გავხსნა დღევანდელი დღე, რომელიც ცეცხლისა და სიყვარულის ასოებით უნდა ჩაეწეროთ საქართველოს ისტორიის ფურცლებზედ.

ორივე მხრიდან მოუკიდეს ცეცხლი ჩვენს ძვირფას სამშობლოს, ოომა ინტერნაციონალმა. —— იწვის საქართველო.

დღევანდელი დღე გიბრძანებთ თქვენ: ჩააქრეთ ეგ ცეცხლი...

ჩვენს დროშაზედ და ჩვენს სულსა და გულში ღრმად ამოჭრილია სიტყვები: საქართველო უწინარეს ყოვლისა. რას ნიშნავს ეს მოწოდება? ეს ნიშნავს იმას, რომ ვინც თეთრი გიორგის დროშის ქვეშ დადგა, მან თავისი «მე», თვით თავისი სიცოცხლეც ანაცვალა ჩვენს ძვირფას სამშობლოს.

დღევანდელი დღე გეუბნებათ — უკან დახევა აღარ შეიძლება, თქვენ წინ არის ერთად-ერთი დიდი გზა, რომელსაც არავითარი მისახვევ-მოსახვევი ბილიკები არა აქვს, ის მოფენილია სანგრებით.

დღევანდელი დღე გიბრძანებთ: წინ! თეთრ—გიორგელებო, წინ!

სიკვდილი ან გამარჯვება!

მაშ ღმერთმა და თეთრმა გიორგიმ გაგიმარჯოთ ჩემო ძვირფასო ძმებო.

დიდება საქართველოს!»

როგორც გრძნობის ტალღას მოეტანოს დროშა მადიდებელი, ისე დაიძღერა «დიდება ზეცით კურთხეულს» ... ეროვნულმა ჰიმნმა, ამ ხმათა ელვუნი თითქოს სწვდებოდა სვეტებზე მორთულ სურათებს.

ჰიმნის დასრულების შემდეგ ბ-ნმა თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მოაგონა, რომ ჩვენი წინაპრები ყოველ საქმეს იწყებდნენ ლოცვით, რომელიც წარმოთქმულ იქმნა ბ. ზაგაზიძის მიერ. თეთრი გიორგის პირველი ყრილობა საპატიო სტუმრებთან ერთად, ფეხზე ადგომით და სამშობლოს ხსნებით მიეგება ლოცვას.

მძიმე მწუხარებით და უხილავ იმედით განათდა დარბაზში მყოფ ქართველთა თვალები.

ეს ის უხილავი სითბოა სარწმუნოების, რომელიც წმინდათ არის ალივლივებული რწმენის სიფაქიზეში. მას განუცდია მრავალი საუკუნე ქართველთა მლევამოსილების და დიდების, რომ ამ წუთშიც ჩვენ გვამშვიდებს ასე უხმოდ.

საჭირო იყო ამ ლოცვის მოსმენა, რომ მაშინვე მიმხვდარიყო ადამიანი, თუ რატომ იყო ძლიერი ყოველივე საქმე დაწყებული ჩვენი წინაპრების მიერ.

ბ თავმჯდომარემ აღნიშნა თეთრი გიორგის მოძრაობა, როგორც ახალი ეროვნული სულისკვეთება ისტორიულად საჭიროების დროს მოვლენილი და დაასკვნა, რომ ყოველ მოძრაობას და ორგანიზაციას ჰყავს თავისი წინამძღოლი, საჭიროა თეთრ გიორგი-საც ჰყავდეს ხელმძღვანელი და ასახელებს ბ. ლეო კერესელიძეს, რომელსაც ახალგაზრდა აბაშიძემ გადასცა თეთრი გიორგის დროშა, მთლიანად თეთრი, შავ—შინდისფერ ალამით გარშემოვლებული და ოქროსფერ ასოებით წარწერილი: საქართველო უწინარეს ყოვლისა; «ამ დროშით გაგვიმეხ ბელადო» მიმართავს იგი.

ოდენკურ-ვალენტინეს სექციის ხელმძღვანელმა ბ. ზაგაზიძემ მიმართა ბ. ლეო კერესელიძეს: «... გთხოვთ ჩაიბაროთ ეს დროშა, ნიშნად თავისუფლებისა, რომლისათვისაც ქართველი ერი იბრძოდა მრავალ საუკუნეების განმავლობაში და ეს ჯვარი ვაზისა, ნიშანი ქართველთა კულტურისა.» რომელსაც ბ. ლეო დროშასთან ერთად მოწიწებით ემთხვია და მიმართა ყრილობას შემდეგი სიტყვებით:

ძვირფასო ძმებო!

ჩემთვის უდიდესი ჯილდოა ის, რომ მნიშნავთ იმ დიადი იდეის ხელმძღვანელად და განმახორციელებლად, რომელსაც მე მთელი ჩემი სიცოცხლე შეგნებულად ვატარებდი: ი ნ ტ ე გ რ ა ლ უ რ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ უ ლ ი წ მ ი ნ დ ა ქ ა რ თ უ ლ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე.

თქვენ იცით რა არის ჩვენი იდეოლოგიის საფუძველი: ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა.

თქვენ იცით ჩვენი მიზანი: ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს რ უ ლ ი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა და მ ი ს ი ა ღ დ გ ე ნ ა, იმ ნანგრევებიდან, რათაც ის აქცია რუსეთის ბატონობამ და მარქსიზმმა.

ადვილად გაითვალისწინებთ, რამდენი დაბრკოლება მოგვლის, რამდენი მტერი გადაგვეღობება წინ ჩვენ ძნელ და ეკლიან გზაზე! მაშასადამე, რამდენი შრომა, რამდენი ვაგლახი და ბრძოლა დაგვჭირდება!

აქ უნდა მოვაგონოთ იტალიელ გმირის გარიბალდის სიტყვები.

როდესაც გარიბალდი იტალიის თავისუფლებისათვის საბრძოლველ დროშის აფრიალებას აპირებდა, მან თავის ლაშქარს უთხრა: «თქვენ არ გეგონოთ, რომ ფუფუნების და განცხრომის მოსაპოვებლად მიმყავხართ!.. არა, მე მიმყავხართ სასიკვდილოთ, სატანჯველად და სასიკვდილოთ! ხოლო, ეს სამშობლოს თავისუფლებისათვის!»

მე გიმეორებთ ამ გმირის სიტყვებს და გეკითხებით: მზათა ხართ თუ არა, რომ სამშობლოს შესწიროთ თქვენი პირადი ბედნიერება, იტანჯოთ და მოკვდეთ მისთვის?

და თუ მზათა ხართ, მაშ ამ თავგანწირულ სულისკვეთებამ უმედეგოთ არ უნდა ჩაიაროს: ჩვენ უნდა ვიტანჯოთ და მით საქართველო გაიმარჯვოს!

ხოლო, დღევანდელ ბრძოლის საშინელ პირობებში, როგორ დავსძლევთ ათასგვარ დაბრკოლებას?

მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სულის სიმტკიცით და სხეულის სიძლიერით, რომელსაც დაუმორჩილებთ ერთ ძლიერ ეროვნულ დისციპლინას.

დღეს თქვენ აჩვენეთ საქართველოს, რომ არ გქონდეთ არავითარ პიროვნულ მიზნებს, რომ თქვენ პოლიტიკური ორგანიზაცია კარიერის გაკეთების საშუალებათ არ მიგაჩნიათ, არამედ იმ კავშირად, რომელშიც თქვენ გსურთ მხოლოდ უბრალო ჯარის კაცის როლი ითამაშოთ.

ამითი თქვენ ამაღლდით სულიერად და ეს სულიერი სიმაღლე უნდა იყოს ყოველ თეთრ გიორგელის დამახასიათებელი, რადგან ყოველი თ. გიორგელი უნდა იყოს

ცოცხალი მაგალითი ეროვნული თავგანწირვის და თავდადების.

დღეიდან ყველა ჩვენ თავმდაბალი და უბრალო ჯარისკაცნი ვართ იმ სახელოვან და დიად ისტორიულ ლაშქრისა, რომელიც საუკუნეზე მეტს ებრძვის რუსებს და რომლის უმაღლესი მთავარ— სარდალი იყო და არის ალექსანდრე ბატონიშვილი.

ვრცელი ეპოქის განმავლობაში მისი რაზმები ერთი მეორეზე შეაკვდნენ მტერს.

დღეს ჩვენ საუკუნიდან გამოძახილი ალექსანდრეს მრისხანე ხმა მოგვიხმობს: «თეთრი გიორგი, გუშაგოს ერხ?

მარად! ბატონიშვილო!»

დღეიდან საქართველოს ცხოვრების ყველა პოზიციაზე ყველა ჩვენგანი იჭერს საბრძოლველ და სამოქმედო ალაგს.

მაშ ამიერიდან ჩვენ წინ მიგვიძღვის თ. გიორგის დროშა, რომელმაც გადალახა საუკუნენი, გაჰკვეთა ისტორიის კორიანტელი, გააპო სისხლის ნიაღვრები, დაამარცხა საქართველოს მავი ბედი და სამშობლო მოიყვანა ჩვენამდის!

და ჩვენ გავიმარჯვებთ!

გაუმარჯოს საქართველოს!».

ბ. ლეო კერესელიძის მიმართვის შემდეგ, ყრილობის მდივნის მიერ წაკითხულ იქმნა მილოცვები ევროპის ხხვა და სხვა ქალაქებიდან: მათ შორის დიმ. ყიფიანის შვილის-შვილისაგან, რომელიც აღნიშნავს რომ «დიმიტრი ყიფიანის შვილის-შვილის ადგილი მხოლოდ «თეთრი გიორგი-ს» რიგებში არის—ო.»

გერმანიის თ. გ. სახელით ყრილობას მოკლე სიტყვით მიესალმა გ-ნი ირ. ოთხმეზური.

«გერმანიის ქართველი ახალგაზრდობა იმედებით ეგებება თეთრი გიორგის პირველ ყრილობას და გამოსთქვამს რწმენას, რომ ის ჩაყრის მტკიცე საძირკველს, რომელზედაც აშენდება ეროვნულად განახლებული საქართველო.»

ამის შემდეგ თავმჯდომარემ მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას და პირველი დღის ყრილობა დახურულად გამოაცხადა.

მეორე დღის დახურული სხდომა.

გაიხსნა ბ. ლეო კერესელიძის შინაარსიანი მოხსენებით თეთრი გიორგი-ს მოძრაობის შესახებ.

«თეთრი გიორგის ორგანიზაციამ, თავის პირველ ყრილობაზედ სავსებით დასრულებული პროგრამა არ უნდა გამოიტანოს, ამისთანა პროგრამა მიზანშეწონილი რომ იყოს, მისი შედგენა სულ ადვილი საქმე იქნებოდა. მაგრამ შესძლებდა თუ არა ეს პროგრამა ქართველი ხალხის ინტერესების უტყუარ სარკეობას? რასაკვირველია არა.

ჩვენ არ გავყვებით პოლიტიკურ პარტიების კვალს, რომელნიც იღებენ რაიმე განყენებულ ან უცხოეთიდან გადმოღებულ იდეოლოგიას, მასზედ აშენებენ პარტიულ პროგრამებს და სცდილობენ ერის ცხოვრება შეუკუონ პროგრამის მუხლებს. ქვეყნის საკითხისადმი ესე თეორიულად და დოქტრინალურად მიდგომა ეწინააღმდეგება თეთრი გიორგის ბუნებას.

ჩვენ რეალურად და პრაქტიკულად უნდა უყურებდეთ ყოველ ეროვნულ პრობლემას, ვინაიდან მსოფლიო ომის შემდეგ ერთა საერთაშორისო განწყობილება, თუ შინაგანი ცხოვრება, მეტადრე ჩვენი ერისა, მეტად ცვალებადობდა, ამიტომ წინასწარ არ დავაკანონებთ არაფერს.

ჩვენი უმთავრესი როლი მდგომარეობს მასში, რომ დაკვირვებით ვადევნებდეთ თვალ-ყურს, ყოველივე გარდაქმნებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, მუდამ ხელთ გვეჭიროს მისი მაჯა და ჩვენს პროგრამებს ან მოქმედებას უგუებდეთ და უმორჩილებდეთ მისი ცხოვრების სინამდვილეს, მის ეროვნულ ინტერესებს.

რა უნდა აკეთოს დღეს თეთრი გიორგი მ? მან უნდა იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა უნდა გამოიხატებოდეს უმთავრესად ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტულად აღზრდაში, საქართველოში ეროვნული შეგნების გაცხოველებაში, მებრძოლ ორგანიზაციების შექმნაში, მტრის წინააღმდეგ მკაცრი პროპაგანდის წარმოებაში და სხვა.

თეთრი გიორგი-ს სოც. დემოკრატებთან უხდება გუნებრივი შეხლა, მაგრამ სოციალისტების წინააღმდეგ ბრძოლამ არ უნდა ჩაგვნთქას მთლიანად, როგორც ეს მოუვიდათ ნაც. დემოკრატებს, რომელთა რიგებში ბევრნი მხოლოდ სოციალისტებისადმი ზიზღის გამო ეფარებოდნენ.

ეს ბრძოლა უნდა იყოს ერთ ტაქტიკათაგანი. სოც. დემოკრატების დამარცხება უნდა იყოს ჩვენი ეროვნული შემოქმედების და პოლიტიკურ დარაზმულობის შედეგი. ვისაც მტერზედ გამარჯვება სურს, მან ამ გამარჯვების დასამყარებელი ნიადაგი უნდა შეჰქმნას.

თეთრი გიორგი-ს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ის გაჩენილია არა სოციალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად — ამ დაბალ ხარისხზედ მან თავი არ უნდა დაიყვანოს, არამედ საქართველოს აღსადგენად.

სოციალისტების წინააღმდეგ ბრძოლა, აუცილებელი მოვლენაა, რადგან თვითონ ისინი არიან ამხედრებული ჩვენზედ და ყველა პატრიოტულ იდეებზე. გვეღობებიან ჩვენი მიზნის გზაზედ, მათი დამარცხება უნდა იყოს გუნებრივი შედეგი ჩვენი შემოქმედების. ერთი იდეა, მეორეს ვერ დაამარცხებს მხოლოდ გარეგნული ბრძოლით, ამისთვის საჭიროა სოციალურ ბაზის მოსპობა, რომელზედაც ის არის დამყარებული და აღმოცენებული. აი სწორედ ეს სოციალური ბაზა უნდა გამოვაცალოთ ჩვენს სოციალისტებს საქართველოში: პროპაგანდით, ორგანიზაციის გამრავლებით, სკოლებით, პრესით, მოქმედებით, მაგალითებით უნდა შევიტანოთ ჩვენს ხალხში ეროვნული სული და ეროვნული უმაღლესი შეგნება.

ამავე საშუალებით და ახალგაზრდობის გონებრივ და ზნეობრივ აღზრდით უნდა გავსწმინდოთ ჩვენი ქვეყანა ასი წლიდან დაგუბებულ რუსულ გავლენისაგან.

ამიტომ თეთრი გიორგი არ უნდა გაიმიჯნოს საზოგადოების მხოლოდ მაღალ ფენებში მუშაობით, როგორც ერ. დემოკრატები.

თუ ჩვენი ხელმძღვანელნი, ანუ ასე ვსთქვათ მთავარი შტაბი გონებრივად რჩეულ ელემენტებისაგან უნდა შესდგებოდეს, ჩვენი უმთავრესი ძალა და საძირკველი უნდა იყოს ქართველი მასსა. ამ მიზნით ჩვენი ინტენსიური პროპაგანდა უნდა მიმართულ იქმნეს გლეხებისა, მუშების და საშუალო კლასისადმი.

თეთრი გიორგი-მ ფესვები უნდა გაიდგას ქართველი ხალხის ყველა ელემენტებში, რათა მხოლოდ ხალხი იყოს მისი მასაზრდოებელი წყარო და მისი სულთ-შთამბერველი.»

მომხსენებელი ეხება თეთრი გიორგი-ს ჩასახვის და განვითარების პირობებს: «თეთრი გიორგი-ს ორგანიზაციის შექმნის იდეა პირველად წარმოიშვა მეტეხის ციხეში დაპატიმრებულ ახალგაზრდათა შორის, მას არ უნდა მისცემოდა პარტიული სახე, არამედ უნდა დარჩენილიყო ეროვნულ ორგანიზაციის სახელით. ეს ჩვენ განვავითარეთ და რამდენადაც წინ მივდივართ, იმდენად უფრო მეტად ვიმიჯნებით პოლიტიკურ პარტიების სულისკვეთების და ფსიქოლოგიისაგან, რადგან პოლიტიკური პარტია არის დაინტერესებულ პირთაგან შეკრული კავშირი განსაზღვრულ სოციალურ კლასის, წოდების თუ რაიმე ჯგუფის ინტერესების განსახორციელებლად. მაშასადამე ეს პარტიები არიან ერის შემადგენელ სხვა და სხვა ელემენტთა შორის დაწინააღმდეგება და შეხლა.

თეთრი გიორგი კი პირიქით მიისწრაფვის იქითკენ, რომ შეჰქმნას და დაიმუშაოს მმართველობის და სოციალურ—ეკონომიურ ორგანიზაციის იმისთანა პრინციპები, რომელნიც შესძლებენ ერის საერთო ინტერესების დაცვას და ამ საერთო ინტერესში ქართველ ერის ყველა შემადგენელ ელემენტთა მისწრაფებების მოთავსებას; მოკლედ სოციალურ ჯგუფთა სოლიდარობა და თანასწორობა. ასეთმა ორგანიზაციამ სახელწოდებაც შესაფერი გამონახა: — თეთრი გიორგი. ეს სახელწოდება ემბლემაა ჩვენი ხალხის და ქვეყნის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მოქმედებდა და იბრძოდა ამ ემბლემის ქვეშ, ეს ემბლემა წარმოადგენს საქართველოს წარსულს, აწმყოს და მომავალს.

ყოველ ერისათვის, რომელსაც სიცოცხლე და განვითარება სურს, ამ სამი მომენტის დაკავშირება აუცილებელია. აწმყო უნდა იყოს წარსულის გაგრძელება ე. ი. თავის სულიერ საზრდოს უნდა პოულობდეს თავის ისტორიაში, უნდა ემყარებოდეს მას და უნდა იბრძოდეს უკეთეს მომავლისათვის. თეთრი გიორგი-ს სახელწოდება ზედმიწევნით გამოხატავს ერის ამ უდიდეს ფილოსოფიურ პრინციპს რაც ყველა ქართველისთვის მისაღებია.

როდესაც ერის ცხოვრებაში დგება ისეთი მომენტი, რომ აუცილებელია, არსებულ — ერთმანეთში მებრძოლ პარტიათა გაერთიანება, ერთ დიდ ეროვნულ ორგანიზაციაში. ამ დროს თუ ერი იმდენად შეგნებულია, რომ მიხვდება ამ შეკავშირების აუცილებლობას და განახორციელებს, ის თავიდან აიშორებს კიდეც განსაცდელს. ასეთ გაერთიანების დროს, ერი გამოდის არა პარტიის ემბლემის ქვეშ, არამედ სულ სხვა ემბლემით.

საბერძნეთის ერი, თავის განთავისუფლების ბრძოლაში 1821 წელს, შეერთდა კლეპტურ ანუ ქურდების ორგანიზაციაში. იტალია კარბონარების ანუ მენახშირეთა მოძრაობის ემბლემის ქვეშ განთავისუფლდა ავსტრიელთა ბატონობიდან. ოსმალეთმა გაიმარჯვა «ქემალის» ემბლემის ქვეშ. დღევანდელმა იტალიამ თავი იხსნა ბოლშევიკურ კატასტროფიდან ფაშიზმით. (ფაშიო—კონა) და მრავალი სხვა.

ქართველი ერიც ლამობს ეროვნულ კავშირის შექმნას პოლიტიკურ პარტიების გარეშე, მისი დარაზმვა უნდა მოხდეს თეთრი გიორგი-ს ემბლემის ქვეშ, ეს სახელწოდება შემაერთებელი ღირსებისაა.

მას გარეგნულად არა აქვს რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან ის არ არის რაიმე ვიწრო პარტიულ-კლასოვრივ ინტერესებთან შეგუებული და პოლიტიკანების მიერ შეთითხნილი ფორმულა.

არა! თეთრი გიორგი სდგას ყოველივე ამაზედ მაღლა და დაგვირგვინებულია მრავალ საუკუნეთაგან გამოჭედილ შეურყეველ ბრწყინვალე გვირგვინით.

დღეს ის, ჩვენი ქვეყნის განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში, ეროვნულ სულისკვეთებით გამსჭვალულ ახალგაზრდობის გულიდან ამოზეთქილი ემბლემაა.

თეთრი გიორგი არის ქართველი ხალხის საერთო ეროვნულ მოძრაობის ერთად-ერთი მისაღები სახელწოდება.

თეთრი გიორგი შეაერთებს ქართველ ერს.

ბ. მომხსენებელი ეხება ქართულ პარტიათა ისტორიას და აღნიშნავს, რომ ყველა ესენი დაბადებული არიან ეროვნულ სასოწარკვეთილების და ეროვნულ შეგნების დაცემის დროს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა სიგიჟეთ მიაჩნდათ, მათ დღესაც თან დააქვთ ეს ფსიქოლოგია, ისინი ვერც განთავისუფლდებიან მისგან, რადგან მათი წარსული თან სდევთ ყოველთვის, ამიტომაა რომ დღესაც კი, როდესაც ყველა ეს პარტიები, [illegible] აიძულა საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზედ დამდგარიყვნენ, თავიდან ჯერ იცილებენ ძველ მონურ ფსიქოლოგიას და საქართველოს პოლიტიკას რუსეთისადმი კი აო აყენებენ, არამედ რუსის ამა თუ იმ პარტიისადმი, ე. ი. საქართველოს პოლიტიკას ძველებურად რუსის პოლიტიკას უმორჩილებენ, ჩვენ ვამბობთ რომ საქართველოს მტერია არა ესა თუ ის რუსული რეჟიმი, არამედ თვით რუსეთი, როგორც ქვეყანა, როგორც ერი როგორც სახელმწიფო.

ბ. მომხსენებელი მრავალი მაგალითებით ახასიათებს თავის მოსაზრების სინამდვილეს და ასკვნის: ამიტომ ჩვენ ყველას გასაგონად ვაღიარებთ: «რუსის ერი, არის ისტორიული მტერი ქართველი ერისა.»

ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკა, რომლის პიონერებიც უცილოვლივ ჩვენ ვართ, უნდა გამომდინარეობდეს ეროვნულ სინამდვილიდან, ქართული სახელმწიფო უნდა იყოს ქართულ ეროვნულ ელფერის და ხასიათის, ის უნდა იყოს, ქართული ფიზიონომიის სარკე და მხოლოდ მისი ინტერესების მატარებელი, მით იქნება ის მტკიცე და მკვიდრი.

შემდეგ იგი ეხება «საერთო ფრონტს» მასში შემავალ პარტიებით, რომელიც საქართველოს ინტერესების დამცველი სრულიადაც არაა, ვინაიდან შიგ მხოლოდ ანტი-ეროვნული პარტიები ბატონობენ, გარდა ერ. დემოკრატიულ პარტიის ნაწილისა, რომელმაც პატრიოტულად განწყობილ ქართველების ყოველგვარი ნდობა დაჰკარგა.

აქ არ შედიან გმირი შეფიცულები და მათი სახელოვანი ბელადი ქაქუცა. არ შედის ქართველი ჯარის მთავარ-სარდალი ღენ. კვინიტაძე და მასთან ერთად ემიგრაციაში მყოფი ქართველი ოფიცრობა.

არ შედის, არც თეთრი გიორგი, არც ნაციონალ დემოკრატების ლიდერი სპ. კედია, მასთან ერთად მრავალი ახალგაზრდობა და მთავარ კომიტეტის მნიშვნელოვანი წევრები, როგორც ალ. ასათიანი, ნესტორ მაღალაშვილი, დ. მარგველაშვილი, იოსებ ხახანაშვილი და სხვები. არ შედიან დიდი ომის დროს არსებულ სახელოვან «დამოუკიდებლობის კომიტეტი-ს» წევრები, როგორც მ. წერეთელი, გიორგი კერესელიძე. გ. მაჩაბელი, პ. სურგულაძე, შ. ვარდიძე და სხვები. არ შედიან არც პატრიოტულად განწყობილნი უპარტიონი, რომელთა რიცხვი მრავალია და სხვა.

ასეთ პირობებში ამ «სოციალისტურ ბლოკის» მიერ ქართულ «საერთო ფრონტის» სახელის მითვისება არის უზურპაცია და მეტი არაფერი. ის არ გამოხატავს ქართველი ერის ინტერესებს, პირიქით, როგორც რამიშვილის წერილებიდან ირკვევა, ის ეწინააღმდეგება ქართველი ერის ინტერესებს თავის «დემოკრატიზმით», რომელიც მენშევიკების გამარჯვების აუცილებელი საწინდარია.

ქართველი ერის განთავისუფლება მოხდება ორი მოვლენის წყალობით: 1) რუსეთის შინაგანი დანგრევა, რაც აუცილებელია. 2) რუსეთის ომი, რომელიმე უცხო სახელმწიფოსთან, რაც ძნელი დასაშვებია, მაგრამ შეუძლებელი მაინც არ არის.

არც ჩვენ და არც ერთ ქართულ პოლიტიკურ პარტიას არ ძალუძს ან ერთი ან მეორე მომენტის გამოწვევა, არც მისი მოახლოვება. ამიტომ ამ მიმართულებით მოქმედება, მუშაობა კი არა, ჩხირკედელაობა გამოვა, რაც ე. წ. «საერთო ფრონტი»-სათვის დამახასიათებელია.

ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა, მზად ვიყოთ და მზადაც ვართ ორთავე მომენტისათვის. აი ამ სანატრელ მომენტში შეიკონება ნამდვილი საერთო ფრონტი. დეე, იცოდნენ: საქართველოს მოსისხლე მტერმა რუსეთმა, ჩვენ ვონცებზედ სამშობლოს გამყიდველმა ქართველმა ბოლშევიკებმა და სხვა მტრებმა, რომ ჩვენ ვიქნებით ყველა იმ ქართველებთან ერთად, ვინც სამშობლოს დასაცავად ბრძოლის ველზედ გავა, რადგან ჩვენი მოწოდებაა: საქართველო უწინარეს ყოვლისა.

მომხსენებელი გადადის თეთრ გიორგულ სახელმწიფოს ტიპის შექმნაზედ: 1) უნდა შეიქმნას ზეკლასიურ სახელმწიფოს ტიპი, რომლის მისწრაფება იქნება მხოლოდ ეროვნულ ინტერესების განხორციელება.

2) მმართველობის რა ფორმაც არ უნდა დავამყაროთ საქართველოში, მის უმთავრეს საფუძვლად და კარონდებელ ძალად უნდა იყოს პარლამენტი. მაგრამ პარლამენტი არა დღევანდელ დამპალებულ და რეაქციონურ ტიპის, არამედ თავის განახლებულ და თანამედროვე ცხოვრებასთან შეგუებულ სახით.

3) მმართველობის რა ფორმაც არ უნდა დავამყაროთ საქართველოს პოლიტიკურ რეჟიმის უმთავრესი ნიადაგი უნდა იყოს: კლასთა სოლიდარული თანამშრომლობა, პოლიტიკურ და ეკონომიურ თანასწორობის ნიადაგზედ.

4) ეროვნულ სახელმწიფოს წინაშე ყველა კლასნი თუ ეროვნული წოდებანი, სავსებით გათანასწორებულნი უნდა იყვნენ უფლებრივ და პოლიტიკურის მხრივ.

თეთრ გიორგულ სახელმწიფოში უპირატესობა ექნებათ მხოლოდ გონებრივ და ნიჭის მხრივ რჩეულ ელემენტებს.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე სარწმუნოებრივ საკითხსაც და ასკვნის, რომ თეთრი გიორგი-მ უნდა ყოველნაირად შეუწყოს ხელი ქართველ ხალხში სარწმუნოებრივ გრძნობის გაღვივებას და გაღრმავებას.

## ქართველნო!

სოციალ დემოკრატები და მათი ამყოლი ამქარი ჩვენს წინააღმდეგ ახდილად ვერ ილაშქრებენ, რადგან უწყიან, რომ დამარცხდებიან. მაგრამ მალულად, ჭორების და ყალბი ხმების გავრცელებით კი ცდილობენ თეთრი გიორგის სახელი გაუტეხონ. ამაო ცდაა: ჭორები ისეთი ტალახია, რომელიც მის შემთითხვნელსავე მოსვრის ხოლმე.

**ჩვენ, სამშობლოს ნათელ იდეებისათვის, დღის სინათლეზე ვიბრძვით.**

რად ვძულვართ სოციალ დემოკრატებს? იმიტომ, რომ საქართველოსათვის საჭირო სიმართლეს ვამბობთ; ვებრძვით მათ მიერ ჩვენს ქვეყანაში დათესილ ბოროტებას; ვძულვართ, რადგან იციან, რომ საქართველოში თეთრი გიორგული ცეცხლი უკვე გაღვივებულია და რომ მომავალი ჩვენია; რადგან მათ ბნელ საქმეებს ვამხელთ.

ქრისტე ღმერთი ფარისევლებზე ამბობდა: მათ ვძულვარ მე, რადგან ვმოწმობ, რომ საქმენი მათნი ბოროტნი არიანო.

აი, რატომ ვძულვართ სოც. დემოკრატებს და ცდილობენ, ახდილად თუ არა, ქურდულად მაინც გვავნონ.

რა ვსთქვით ჩვენ ისეთი, რომლის განხორციელება ყოველ პატიოსან ქართველისათვის სანატრელი არ იყოს?

ჩვენი ძირითადი პრინციპია: «ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა». სოციალ-დემოკრატებისათვის კი უწინარეს ყოვლისა მეორე ინტერნაციონალია და მას ანაცვალეს საქართველო.

სოც. დემოკრატებმა, დამოუკიდებლობის დროს, ძალით განახორციელეს პარტიული დიქტატურა და მომავლისათვისაც ამ მიზნისაკენ მიისწრაფიან. (ამის დასამტკიცებლად იხილეთ ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის ცნობილი წერილები.) ჩვენ კი ვამბობთ:

**საქართველოში უნდა მეფობდეს ქართველი ხალხი და არა რომელიმე პოლიტიკური პარტია.**

სოც. დემოკრატებს სურთ პარტიული ჰეგემონია შექმნან მომავალ საქართველოში. (ამის შესახებ იხილეთ ნ. ჟორდანიას ახალი წიგნაკები.) ხოლო პარტიული დიქტატურა და ჰეგემონია უგვარდიოთ ვერ განხორციელდება. მაშ ისევ გვარდია უნდა შექმნან.

**ჩვენთვის კი ერთად ერთი მისაღები ჰეგემონია ქართველი ხალხის უფლებაა და ამ უფლების გარანტია:—ეროვნული ჯარი.**

სოციალ დემოკრატები ქადაგებენ კლასთა ბრძოლას, ე. ი. ძმათა შორის სისხლის ღვრას და მკვლელობას. თეთრი გიორგის კი ეს მზაკვრობად და ეროვნულ დანაშაულობად მიაჩნია. ამასთანავე ეს ბოროტი იდეა ყველგან უკვე და არცხვენილია.

**სოციალური საკითხი მსოფლიოში, როგორც ჩვენში, უნდა გადაწყდეს კლასთა სოლიდარობის და არა კლასთა ბრძოლის გზით.**

ამ პრინციპს, ჩვენში, უდიდესი ისტორიული ნიადაგი აქვს, ვინაიდან ის, საქართველოს დასაბამითვე, განხორციელებული იყო უდიდეს საქმეში: ე რ ო ვ ნ უ ლ თ ა ვ დ ა ც ვ ა შ ი.

ჩვენი პოლიტიკური პარტიები კლასობრივს და არა ეროვნულ ინტერესებს ემსახურებიან. თუ ფეოდალური საქართველო პატარ-პატარა ტერიტორიებათ იყოფოდა, რაც ასუსტებდა ეროვნულ ორგანიზმს, დღეს პოლიტიკური პარტიები მას ერთი-მეორის მტრულ პოლიტიკურ განაკვეთად ჰყოფენ. ეს მოჰკლავს ისედაც სუსტ საქართველოს. ეს ციხის შიგნიდან გატეხაა. ალყა შემორტყმული მგლებიც კი რიგდებიან. თეთრი გიორგი ჰქადაგებს:

**ეროვნულ ყველა ძალთა შეერთება და შეთანხმება დიდ ეროვნულ მიზნების განსახორციელებლად.**

ჩვენი პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ კლასებს, ჩვენ კი ერს.

**აი, რატომ თეთრი გიორგი არ არის პოლიტიკური პარტია, არამედ ეროვნული ორგანიზაცია.**

აი, რატომ ის არ დადგა არც წითელი დროშის ქვეშ სოციალ დემოკრატებისამებრ, არც ყვითელ ყ. რუსის (ისიც გადარუსებულ) დემოკრატიულ დროშის ქვეშ ვით ეროვ. დემოკრატები, არამედ ეროვნულ - ისტორიული დროშა ააფრიალა და თეთრი გიორგის სახელწოდებით გამოვიდა მოქმედების ასპარეზზედ.

ჩვენთვის კლასთა ინტერესები ეროვნულ ინტერესებისაგან განუყრელია და ერთი მეორეზე დამოკიდებული. ჩვენ ვამბობთ, რომ ეკონომიური საკითხი უნდა გადაწყდეს ეროვნულ ფარგლებში და არა საერთაშორისო ფარგლებში და, ამას მეცნიერულად ვასაბუთებთ.

სოციალ დემოკრატები მიისწრაფვიან კლასთა ინტერნაციონალისაკენ. ეს ანტიეროვნული და ერის დამანგრეველი იდეაა, მავნე და უტოპიური.

თეთრი გიორგისათვის ერთად ერთი ინტერნაციონალი ერთა შეთანხმება და სოლიდარობაა. ჩვენ ამნაირ ინტერნაციონალს ვემხრობით. ჩვენ გვწამს:

**სოლიდარობა ერის წიაღში და ერთა სოლიდარობა საერთაშორისო წიაღში.**

სამოქალაქო ომი, რომელსაც ჩვენი სოციალისტები ქადაგებენ, თავისუფლების და თანასწორობის ანტითეზაა. ჩვენ ვამბობთ:

**ძირს სამოქალაქო ომი! გაუმარჯოს ქართველთა შორის ძმობის და ერთობის მშვიდობიანი გზით დამყარებას.**

თეთრი გიორგი ლამობს შეჰქმნას ეროვნული სახელმწიფო აგებული ერის ისტორიაზე, დღევანდელ სინამდვილეზე და ქართველი ხალხის ინდივიდუალურ ნიჭზე.

ჩვენი ერის უდიდეს სიმდიდრეს, სხვათა შორის, მის პროვინციათა სხვა და სხვა ფეროვანი ნიჭი და თვისება შეადგენს. საბოლოოდ, საკაცობრიო ცივილიზაცია სხვა და სხვა ერთა და ხალხთა ინდივიდუალურ ნიჭის და შრომის ჯამი და სინტეზია.

ჩვენი ცივილიზაცია და კულტურა ყოველთვის იყო, და მომავალშიაც უნდა იყოს, საქართველოს თემების თვისებათა განსხვავების სინტეზი.

ჩვენ უნდა შევქმნათ იმისთანა სახელმწიფო, [illegible] ლის ფარგლებში, ჩვენ ყველა პროვინციათა და თემთა ინდივიდუალური ღირსებანი შესძლებენ [illegible] ბის გაშლას.

ჩვენ არა გვსურს ქართველი ხალხის გენია სოციალ-დემოკრატების ცენტრალიზმის გრეხილებში ამოვახრჩოთ.

ამ პოლიტიკურ შენობას დაასრულებს სოციალურ—ეკონომიური ორგანიზაცია. ჩვენ ქართულ ეკონომიკას არ დავსტოვებთ ცალი მხრივ სოციალისტების და მეორე მხრივ ბურჟუაზიულ პარტიის, ეროვნულ დემოკრატების საწინააღმდეგო? — საწიწკნ მსხვერპლად. თეთრი გიორგი შეჰქმნის შრომის ორგანიზაციის იმგვარ ფორმებს, რომელიც კლასთა სოლიდარულ თანამშრომლობას და ეკონომიურ თანასწორობას რეალურად განახორციელებს.

**ჩვენთვის ქართველი მუშა ისეთივე ძვირფასია, როგორც ყველა სხვა ეროვნულად სასარგებლო ელემენტები.**

თეთრი გიორგის სახელმწიფოდან დევნილი იქნებიან მხოლოდ უსაქმონი და პარაზიტები. სოციალ დემოკრატების ლიდერებივით თეთრი გიორგელები სპეკულიანტების მიერ გაშლილ სუფრებს არ მიუჯდებიან.

**თეთრი გიორგის სახელმწიფო უნდა იყოს შრომის და განათლების ბატონობა.** ყოველივე ამის ცოც ხალი მაგალითნი თვით თეთრი გიორგელნი იქნებიან.

ყოველივე ეს დიდი მიზნებია. მათ განსახორციელებლად საჭიროა ძლიერი ორგანიზაცია, ხოლო, ორგანიზაციების ძლიერებას ერთსულოვნება და დისციპლინა ჰქმნის. ეს ორთავე თეთრი გიორგიმ უმაღლესად განავითარა. თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დღეს თეთრი გიორგი ერთსულოვნობის მაგალითია. ეს არის ჩვენი გამარჯვების თავდები. საქართველოში გამარჯვება თეთრი გიორგისაა. ხოლო ყოველ თეთრ გიორგელს უნდა შემდეგი ახსოვდეს: 1) ჩვენ იდეებს საქართველოში უდიდესი ნიადაგი აქვთ, მაგრამ გამარჯვებისათვის ეს არ კმარა. ჩვენ იმდენად გავიმარჯვებთ, რამდენად ამ ნიადაგზე ჩვენი შრომით, ტანჯვით და ბრძოლით ეროვნულ შენობას ავაგებთ.

ჩვენის ხელით და ჩვენის ოფლით უნდა გამოვჭედოთ საქართველოს ბედი.

**ერის თავისუფლება და აღორძინება მხოლოდ მის შვილთა ღვაწლის და ტანჯვებიდან იბადება ხოლმე.**

**2) თეთრი გიორგი არსებობს საქართველოსთვის და არა საქართველო თეთრი გიორგისათვის.**

პარტიულ პატრიოტიზმის სამარცხვინო ფსიქოლოგია პოლიტიკურ პარტიების დამახასიათებელია.

**თეთრი გიორგი ეროვნული ორგანიზაციაა.**

**ჩვენი ხვედრი მხოლოდ შრომა და ბრძოლაა.**

ჩვენ მინისტრების პორტფელებს არ ვეძებთ. თეთრი გიორგულ საქართველოში მინისტრებად და ელჩებად იქნებიან ღირსეული სპეციალისტები.

ჩვენი ჯილდო? ჩვენი დაკმაყოფილებული სინიდისი მით, რომ ჩვენი შრომის შედეგს პირნათლად გადავცემთ მომავალ თაობას, მომავალ საუკუნოებს.

**ჩვენი სული და გული განწმენდილია ყოველგვარ პიროვნულ მისწრაფებისაგან და ამბიციებისაგან.**

ჩვენ მივიღეთ ფიცი წმინდა ჯვარზედ, რომელზედ საუკუნეთა განმავლობაში სახელოვან წინაპრებთ უფიციათ; რომლისთვის ეწამა ქეთევან დედოფალი და რომლით ხელში, მარაბდის ველზედ, იბრძოდა, ტფილისის მიტროპოლიტი, დომენტი ავალიშვილი.

ეს აქტი იყო სიმბოლო ჩვენის სულის და სინიდისის სისპეტაკისა და იდეათა სიწმინდისა.

**წმინდა საქმე წმინდა გულს, წმინდა სინიდისს და გულწრფელობას თხოულობს.**

მხოლოდ ის, ვისაც ძალუძს ამ სიმაღლეზე ავიდეს, ღირსია თეთრი გიორგელის სახელი ატაროს.

4) თეთრი გიორგი, დღეს, სამშობლოს მტრად სახავს მხოლოდ რუსებს და შეგნებულად მოყიდულ მოღალატეებად ქართველ კომუნისტების ბელადებს. არავითარი დანდობა მათი თეთრი გიორგელის გულს არ უნდა მიეკაროს. ბრძოლა მათ წინააღმდეგ ყოველ დარგში, ყოველ ასპარეზზედ, მალე დადგება ის სანატრელი დღე, როდესაც თეთრ გიორგელთა რაზმი შევთება მტერს იარაღით ხელში და აქაც დანდობა აღარ იქნება.

**სისხლი სისხლს ითხოვს და მტრისადმი შურისძიება სამშობლოს იდეასთან განუყრელია.** ამ სინამდვილეზე თვალის დახუჭვა ბავშობაა და ან იაფ ფასიანი დემაგოგია,

ხოლო, არასდროს თეთრი გიორგელის ხელი ძმის სისხლში არ უნდა გაერიოს. ჩ ვ ე ნ კ ა ე ნ ე ბ ი ა რ ა ვ ა რ თ. ეს ბნელი საქმე ქართველ სოციალისტ - ტერორისტებისათვის, ამ სამოქალაქო ომის ქურუმთათვის დაგვითმია.

**სჯობს მოკლულ ვიქმნეთ შეუგნებელი ძმის ხელით ვიდრე ჩვენის ხელით მოვკლად ის.**

## ქართველნო!

ყველას, ვისაც მოეწვდებაო ჩვენი ხმა, ამ ფურცლის საშუალებით, გაიძახეთ ამ ცნებებით და აზრებით. ძალმომრეობაში ყოველივეს ახდილად ვერ ვიტყვით. ხოლო იცოდეთ: ჩ ვ ე ნ ვ ი ც ი თ, რ ო მ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ჩ ვ ე ნ ი ა. გრწამდეთ, რომ არავითარი რყევა, არავითარი სისუსტე ვერ შეეპარება ჩვენს რკინის მწკრივებს.

პირიქით, რაც დრო გადის უფრო ვმაგრდებით და შრომის და ბრძოლის ხელით, თეთრი გიორგის გასრ ლაზვრად ვილესებით.

გაუმარჯოს საქართველოს და მის ისტორიულ-ეროვნულ წმინდან რაინდს თეთრი გიორგის

**თეთრი გიორგის დირექტორია.**

პარიზი ოქტომბერი 1929.

## საქართველოს ეკონომიური პოლიტიკის გეზი.

მომხსენებელი ინჟინერი ბ. სიმონ ციციშვილი აცნობს ყრილობას საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების უკანასკნელიდროის ისტორიას. ეხება რა დღეს არსებულ მდგომარეობას აუცილებელ პირობათ მიაჩნია, რათა დამოუკიდებელმა საქართველომ შესძლოს სასურველი სისწრაფით აღადგინოს სოციალისტურ—კომუნისტური ექსპერიმენტებით განადგურებული ეკონომიური ცხოვრება, ფართო სამოქმედო ასპარეზი მიეცეს კერძო თაოსნობას, რომელიც ათასი წლების განმავლობაში იყო და დარჩება მუდამ კაცობრიობის წინსვლის ბერკეტი. წინააღმდეგ სოციალისტური ეტატიზმისა, რომელიც გულისხმობს სახალხო მეურნეობის მმართველობის, სახელმწიფო აპარატის ხელში დაგროვებას, თეთრი გიორგი ძოითხოვს, რათა სახალხო მეუნეობის წარმოება მთლიანად მიეკუთვნოს კერძო თაოსნობას, რომელმაც ისტორიულად დაამტკიცა თავისი უპირატესობა ამ დარგში, სახელმწიფო აპარატთან.

ისე როგორც წარსულში პოლიტიკური და სხვა პირობების გამო, საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის მთავარი პუნქტები დღესაც უცხო ელემენტებს აქვთ დაკავებული. ეროვნული მთავრობის მოვალეობა იქნება ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება ჩააბაროს მათ, ვინც დაინტერესებული იქნება საქართველოს კეთილდღეობით. ვაჭრობა-მრეწველობის გაეროვნება, ეროვნული კაპიტალის შექმნა არის მეორე მთავარი მომენტი ჩვენი ეკონომიური სიძლიერის.

საქართველო უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ამიტომ უპირველესი ზრუნვა ეროვნული ხელისუფლების, სოფლის მოშუშავეთა დახმარებისათვის უნდა იყოს მიმართული. უცხო კაპიტალის დახმარების გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის სწრაფი ეკონომიური წინსვლა. უნდა შეიქმნეს ისეთი პირობები, რომ უცხო კაპიტალს არ ეშინოდეს და სარისკოდ არ მიაჩნდეს საქართველოში მოსვლა. რამდენადაც მყარი იქნება მომავალი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, იმდენად ხელსაყრელ პირობებში შემოვა ის საქართველოში. საგარეო სესხი უნდა ხმარდებოდეს მხოლოდ პროდუქტიულ სამუშაოთა შესრულებას და არა მიმდინარე ხარჯების ანუ საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას.

ბ. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ექსპორტ-იმპორტის საკითხს, აქტიური სავაჭრო ბალანსის შექმნას, უდეფიციტო ბიუჯეტის დამუშავებას, მყარი მანეთის აუცილებლობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ერის საშინაო თუ საგარეო ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა და დაასკვნის: ნამდვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ერის ეკონომიური სიძლიერე - დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია. საქართველოს ბუნების სიმდიდრე იმედს გვაძლევს, თუ იქნება ზოგი ხელისშემწყობი პირობები, ასეთ დამოუკიდებლობას მივაღწიოთ.

## მიწის საკითხი.

მომხსენებელი ბ. დიმიტრი ჭიაურელი.

ყოველი ერის ცხოვრებაში მიწის საკითხის მოწესრიგება იწვევდა დიდ ვნება-ღელვას. მრავალი დაიწერა, მრავალი ითქვა... უკანასკნელად სოციალისტურ საერთაშორისო კონგრესზე მიღებული პროგრამები მიწის სოციალიზაცია-ნაციონალიზაციის შესახებ ცხოვრებამ სავსებით უარჰყო. ერთად-ერთი უძლეველი, გადაულახველი პრინციპი ისევ დარჩება: მიწაზე კერძო საკუთრების დაცვა.

დამოუკიდებელ საქართველოს კანონმდებლობა, მისი სახელმწიფო აპარატი და ყველა მისი სულიერი თუ ეკონომიური ძალთა შემოქმედება, როგორც ეს ყველა კულტურულ ქვეყნებშია, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას უნდა დაემყაროს. ეს პრინციპი უნდა იქმნეს წყარო მომავალი ქართული კოდექსის.

შეუძლებელია გლეხმა გულით იზრუნოს მიწის მოვლა-გაშენებაზე თუ დარწმუნებული არ არის, რომ მიწა მას ეკუთვნის როგორც საკუთრება. მიწა უნდა დაურიგდეთ მიწის მუშებს, მიწადმოქმედთ, დაუმტკიცდეთ მათ საკუთრებად, რომელიც საშვილიშვილოდ გადაეცემა მემკვიდრეებს. სრული თავისუფლება მიწის ყიდვა გაყიდვის, იჯარით გაცემის, დაგირავების და სხვა. ჩამორთმეულ მიწების ძველ მფლობელთათვის დაბრუნება უარყოფილია, ხოლო სახელმწიფომ უნდა იზრუნოს კომპენსაციის თუ სხვა საშუალებით, მისცეს მათ ცხოვრების საშუალება. სოფლის მცხოვრებლებმა უნდა აირჩიონ: უნდათ მათ საბჭოების ხელიდან მიღებული მიწები? რომელიც კომუნისტურ კანონების მიხედვით მათ არ ეკუთვნით, არამედ გადაეცათ დროებით სამუშაოდ და ხვალ თუ ზეგ, როცა საბჭოთა მთავრობას მოეპრიანება, წაართმევს გლეხს თავის ოფლით გაკეთებულ მიწას და გადასცემს ვინმე ცუღლუტ და არა მუშას. არა, ქართველ გლეხს ურჩევნია რომ მიწა რომელზედაც ის მუშაობს, მას ეკუთვნოდეს, დაუმტკიცდეს მას, როგორც თავის საკუთრება. გააშენოს, გაანოყიეროს ის და ამ სახით გადასცეს თავის მემკვიდრეებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია იყოს ის გულდამშვიდებული და იმედიანად შესცქეროდეს მომავალს. მხოლოდ თავის საკუთარ მიწაზე შეუძლია მას შეჰქმნას თავის ოჯახის კერა, მისი სიმშვიდე რომელიც ასე ძვირფასია ყოველი მიწადმოქმედისათვის.»

## ქართული ეკლესია,

წაკითხულ იქმნა, ფოსტით გადმოგზავნილი ვრცელი მოხსენება ქართული ეკლესიის შესახებ.

ავტორი განიხილავს მის დიდებულ წარსულს, რომელმაც მოგვცა შესანიშნავი ქართული კულტურა, ჩამოაყალიბა და შეგვინახა ქართული ლიტერატურული ენა, აუარებელი შრომა გასწია საქართველოს გაერთიანებისა და აყვავებისათვის.

ქართველების სწავლა—განათლებით ზიარება ხდებოდა მონასტრებში, სადაც კულტურული შემოქმედება დუღდა და საიდგანაც გამოდიოდნენ საუკეთესო მოღვაწენი. ამ შემოქმედების შედეგად მივიღეთ გელათის, იყალთოს და გრემის აკადემიები.

ეკლესია დიდ როლს თამაშობდა ქართველი ერის კეთილ-მოწყობის საქმეშიც. ის ეხმარებოდა გაჭირვებულთ, დაავადმყოფებულთ, ქვრივ-ობოლთ და სხვა. ისინივე ამლევდნენ მაგალითს დასახლებისას და ხშირად ხელმძღვანელად ეყვავებდნენ სამშობლოს, რომლის დასაცავად ისინი ხმლითაც იბრძოდნენ, როგორც თორნიკე ერისთავი, საბა მტბევარი, გიორგი ჭყონდიდელი -მწიგნობართ უხუცესი და საერთოდ ჭყონდიდლები, რუისის კათალიკოზები, მარაბდის ომში გმირულად დახოცილი სასულიერო პირები და მრავალი სხვანი. ამ დიდებულმა პიროვნებებმა, ქრისტიანიზმს ე. ი. იმ ქვეყნიურ სამოთხისადმი სიყვარულს, ამ ქვეყნიურ სამოთხის სამშობლოს სიყვარულიც ჩააქსოვეს და ორივესთვის თანაბრად სწირავდნენ თავს.

ავტორი ეხება სასულიერო წოდების მიერ წარმოებულ დიპლომატიას, მათ დაუფასებელ ღვაწლს ქართული სტამბის მოწყობაზედ, განიხილავს საზღვარ—გარეთ მყოფ ქართულ მონასტერთა მოღვაწეობა—მნიშვნელობას და გადადის ქართული ეკლესიის დაკნინების მთავარ მიზეზზედ. ეს არის რუსეთის ბატონობა, მის გარყვნილ სასულიერო წოდების გრიყვული და ავაზაკური ქცევა საქართველოში, სადაც მხოლოდ იმიტომ მოდიოდნენ, რომ ჯიბეები გაესქელებინათ. მათ გაძარცვეს ქართული ეკლესია – მონასტრები, შეავიწროვეს ქართული ენა, სადაც კი მოახერხეს დაანგრიეს ქართული ხელოვნების ნიმუშები, გაანადგურეს და დაფანტეს ქართული უძვირფასესი ხელთნაწერები, მხეცურად აწამეს 1820 წ. აჯანყების სულის—ჩამდგმელნი დოსითეოზ და ექვთიმე მიტროპოლიტნი, ვერაგულად მოჰკლეს დიმიტრი ყიფიანი და მრავალი სხვა. ამ გარყვნილი სულის ბატონობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო: მღვდელ-მსახურება გადაიქცა უბრალო შემოსავლიან ხელობად.

ასეთი სულით გაჟღენთილმა სასულიერო სასწავლებლებმა შესაფერი მოწაფეები და მომღვარნიც მოგვცა: — ჩვენი სოციალისტების ლიდერები და პროლეტარიატის გაერიანებისათვის მოქადაგე მღვდლები.

ავტორი მოკლედ ეხება ბოლშევიკურ რუსეთის ავაზაკურ საქმიანობას, რომელიც ძველი რუსეთის პოლიტიკას აგრძელებს ქართულ ეკლესიის მიმართ და დაასკვნის: სამშობლოს აღდგენასთან ერთად სარწმუნოებაც უნდა აღსდგეს, მაგრამ არა მანიჟი, ქვენა გრძნობებით გაჟღენთილი და დაკნინებული, არამედ მაღალი, სპეტაკი და შეურყეველი მებრძოლი იმ დიად იდეებისთვის, რისთვისაც იბრძოდა ის ჩვენს წარსულში რუსეთთან შეერთებამდე, ამისთვის კი, საჭიროა ეკლესიაც, ისევე როგორც სამშობლო, განიწმინდოს რუსული სულისაგან და კვლავ გაბატონდეს მასში ქართული სული.

ეკლესია დღეს ჩამოშორებულია სახელმწიფოს, მაგრამ გაღატაკებულს და დანგრეულს პირველ ხანებში სახელმწიფო უნდა დაეხმაროს, რომ კვლავ აღსდგეს განახლებული ქართული ეკლესია.

## მუშათა საკითხი.

მომხსენებელი გ. დ. კლდიაშვილი.

მუშათა საკითხი დღეს ყოველი ერის ცხოვრებაში იწვევს მნიშვნელოვან ყურადღებას. თუმცა საქართველოში მუშა—პროლეტართა რიცხვი მეტად მცირეა, მაგრამ ეს საკითხი მაინც მოითხოვს ჩვენგან დიდ სიფრთხილეს. სოციალისტური იდეები, რომლიდანაც მუშები მოელოდენ ხსნას, ცხოვრებამ უარჰყო.

სოციალისტ—კომუნისტების ბატონობა სპობს რა, ერის ეკონომიურ ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას, მით საერთო სიღატაკე—გაჭირვებასთან ერთად, მუშების ნივთიერ მდგომარეობას ძალზე აუარესებს; ხოლო რამდენადაც დაწინაურებულია ესა თუ ის ქვეყანა ეკონომიურად, იმდენად მისი მუშების მდგომარეობა უკეთესია.

დღეულება რომ მუშებს სამშობლო არა აქვთ, სავსებით გაკოტრდა. ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში სამუშაო ჯერ მისი ქვეყნის შვილთ ეძლევა, რჩეული სამუშაოები მხოლოდ მათ უნდა ეჭიროთ და შემდეგ ამისა შეიძლება მხოლოდ, უცხოელის სამუშაოზე მიღება. ჩვენში კი პირიქით, ქართველისათვის უფრო ძნელია სამუშაოს შოვნა საქართველოში, ვიდრე უცხოელისათვის.

ქართველ მშრომელთათვის ერთად-ერთი გამოსავალი აქედან არის: უარჰყონ სოციალისტ—კომუნისტური იდეები და მის ნაცვლად იწამონ თავის სამშობლო, თავის მიწა-წყალი, ოჯახი და სხვა, რომელთანაც ისინი მთელი თავიანთი სულიერი და ფიზიკური არსებით დაკავშირებული არიან. ისინი უნდა დადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში და დაიჭირონ კიდევ [illegible] ადგილს, რადგან ერის სხვა ჯგუფებზე არა ნაკლებ არიან დაინტერესებული თავის ქვეყნის კეთილდღეობით.

წინააღმდეგ წითელ და ყვითელ მუშათა პროფესიონალურ კავშირებისა მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში მუშათა დარაზმვა უნდა ხდებოდეს ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნულ პროფესიონალურ კავშირებში. ეს პროფესიონალური კავშირები ცნობილ იქნებიან კანონის მიერ და მათი მონაწილეობა სახელმწიფო მართვა—გამგეობაში იქნება უზრუნველყოფილი, რადგან მომავალი სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოები ეკონომიურ ინტერესთა წარმომადგენლებისაგან უნდა შესდგებოდეს.

სახელმწიფო იზრუნებს მუშების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით, ნორმალური სამუშაო დღის დაწესებით და სხვა.

საჭიროა დიდი მუშაობის წარმოება, რათა შევიტანოთ მუშებში კერძო საკუთრებისადმი სიყვარული და პატივისცემა.

გაფიცვა—ლოკაუტი აკრძალული უნდა იქმნეს და ყოველგვარ დავას შრომის და კაპიტალის შორის აწესრიგებდეს სასამართლოს თუ სახელმწიფოს სხვა ორგანოები.

ზემონათქვამიდან გუნებრივად გამომდინარეობს ჩვენი მთავარი პრინციპი: ერის კლასებად დაყოფის მოსპობა და მათ შორის ბრძოლის შეწყვეტა. შრომის და კაპიტალის შორის კეთილგანწყობილების და თანამშრომლობის დაწესება ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ.

## ეროვნული დისციპლინა.

მომხსენებელი ბ. ირ. ოთხმეზური.

მომხსენებელმა გაარჩია ორი სახე დისციპლინისა: მალდატანებითი, შეუგნებელი (რეფლექსიური) და პატრიოტული ცეცხლით ანთებული და ჰარმონიული. მან დაასკვნა, რომ ამ მეორე სახის დისციპლინის მატარებელი არის თეთრი გიორგი, პირველი კი მკაცრი დამახასიათებელია იმ მოძრაობების, რომელნიც რაც უფრო ეწინააღმდეგებიან საქართველოს ყოვლმხრივ გაერთიანებას და გაძლიერებას, მით უფრო მეტად ატარებენ ასეთი ხასიათის დისციპლინას.

მოხსენებების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდგადაც ყრილობამ დაადასტურა

### რეზოლიუცია:

I—თეთრი გიორგი საგოლოოდ ინარჩუნებს თავის სახელწოდებას, რადგან ეს სახელწოდება გამოხატავს საქართველოს წარსულს და აწმყოს და ქართველი ხალხის შემაერთებელი ღირსებისაა.

II — თეთრი გიორგი-ს დევიზია: «საქართველო უწინარეს ყოვლისა». ამ დევიზიდან გამომდინარეობს მისი იდეოლოგია და ტაქტიკა.

III —თეთრი გიორგი არის ეროვნული, ზეკლასიური ორგანიზაცია.

IV —თეთრი გიორგი გამომხატველია ინტეგრალური ნაციონალიზმის.

V —თეთრი გიორგი-მ უნდა მოამზადოს სულიერი და ნივთიერი ნიადაგი მომავალი სახელმწიფოსი, რომელიც დამყარებული უნდა იქმნეს შემდეგ პრინციპებზე:

1)—ეროვნული სახელმწიფო.

2)—განახლებული პარლამენტი, როგორც უმთავრესი კანონმდებელი ორგანო.

3)—კლასთა სოლიდარული თანამშრომლობა.

4)—ყველა ქართველთა სრული უფლებრივი და პოლიტიკური თანასწორობა.

VI —ქართველი ხალხის სულიერ—ზნეობრივი და სოციალური აღორძინება დამყარებული:

1)—ოჯახზე.

2)—სარწმუნოებაზე.

3)—ტრადიციებზე.

VII —ქართველი ხალხის მატერიალური აღორძინება დამყარებული:

1)—სახელმწიფოს მიერ მიწების გამოსყიდვა მესაკუთრეთაგან და მათი გადაცემა მიწად-მოქმედზე საკუთრების სრული იურიდიული შინაარსით.

2)—სახელმწიფოს მიერ, შრომის ორგანიზაციისა და მწარმოებელთა და მუშათა შორის ჰარმონიულ ურთიერთობის შექმნა.

დასასრულ ბ. ლეო კერესელიძემ გამოსამშვიდებელი სიტყვით მიმართა ყრილობას და უსურვა თეთრ—გიორგელთ სამაგალითოდ ატარონ ჩვენი წინაპრების ანდერძი და არ გაანელონ ის ბრძოლის აღმაფრთოვანებელი სული, რომელიც ბედმა მათ არგუნა.

ჩვენი შემაკავშირებელია საღმრთო ფიცი; და თეთრ გიორგელთა ძმური დანდობა განმამტკიცებელია წმიდა გიორგის რაზმთა რიგების.

ვისურვებთ მეორე ყრილობა ყოფილიყოს ქართველი ერის საზეიმო დღეს საქართველოში.

---

უადგილობის გამო მოხსენებებს ვბეჭდავთ შემოკლებით; ზოგი მოხსენებები ვრცლად დაისტამბება შემდეგ ნომრებში.

## ქ ა რ თ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი.

(გაგრძელება. იხ. მე—13-ე ნომერი.)

აქ ევროპაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული გონებასთან ერთად სხეულის განვითარებასაც და უაღრესად არის განვითარებული სხვა და სხვა ასპარეზობა.

ჩვენში კი ვიწრო-წოდებულ «ინტელიგენტს» გურთაობაში მონაწილეობის მიღება მომაკვდინებელ ცოდვად და სირცხვილად მიაჩნია, ცხენოსნობა ხომ ქარაფშუტა და უსაქმო ხელობადაა აღიარებული, თუმცა ძველად ჩვენში ძალიან იყო გავრცელებული ასპარეზობა და სხვა და სხვა ვარჯიშობა. მაშინ ქალებიც კი იყვნენ კარგი ცხენოსნები.

შემოვიდნენ რუსები, დაგვარგდნენ, ფეხ-მორთხმით დაგვლაგდნენ. მონასტრები და ეკლესიები დაძარცვეს, დააღარიბეს. სადღაა იქ, ან სწავლა ან განათლება?! გაჩნდნენ რუსული სკოლები, სადაც ქართულს არ ასწავლიდნენ (სახლში ამისთვის ვის ეცალა?) და საიდანაც თავისი ენის, მწერლობის, ისტორიის და ცხოვრების უცოდინარნი გამოდიოდნენ.

გააჩაღეს კავკასიის «ნამესტნიკებმა» ბალები. (განსაკუთრებით თავად ვორონცოვის დროს). ქალბატონებმა მიაგდეს ლამაზი ეროვნული ტანთსაცმელები და ნაზი ლეჩაქები და ახალი ყალიბის ტანთსაცმლით დაიწყეს წარა-მარა სიარული ამ «ბალ-მეჩრეებზედ».

ამას სახლ-კარზედ ხელის აღება მოჰყვა, ქალაქებში ცხოვრება, სიმდიდრის გაფლანგვა და სოფელსაც მოაკლდა საშუალება რისიმე შესწავლისა და შეძენისა. პირიქით ცუდი მაგალითი აქაც გადამდები შეიქმნა. დამახინჯდა ქართველი დედა, დამახინჯდა ოჯახი, დაჰკარგა ეროვნული ნიადაგი და რა თქმა უნდა ასეთს პირობებში ვერ აღიზარდა სამშობლოს მოყვარული შვილი და ქართული საზოგადოების ნაწილი «ინტელიგენცია» გადაგვარდა და დამახინჯდა. ამ მხრივ უფრო საქებია სოფლელი ქალი, რომელმაც მცირედათ, მაგრამ მაინც შეინახა და დაიცვა ეროვნული სახე.

რასაკვირველია, ქალის გადაგვარებამ ოჯახსაც დაუკარგა ეროვნული სახე; გაჰქრნენ ლამაზი და გონიერი ზნე-ჩვეულებანი და მაგიერის უქონლობის გამო, ოჯახი სრულიად გამოიფიტა. თუ ახალი რამე შემოვიდა, ეს უბრალო რუსული მეშჩანურ-ჩინოვნიკურია, თუმცა ამას არისტოკრატიზმათ ნათლავდნენ.

დამკვიდრდა რაღაც უგვანო წესები, რომელნიც არც ქართულია, არც ევროპიული და თუ გნებავთ არც რუსული, რადგან ამ უკანასკნელს თავისი არც ტრადიციები და არც წესები არა აქვს; თუ არ მივიღებთ მხედველობაში «ხლისხებსა და სიოხაჩებს».

თანამედროვე ქართველ ქალთა საზოგადოება თვალსაჩინოდ დაიყო. ერთი ნაწილი გაჰყვა კომუნისტურ მიმდინარეობას და დაეცა სულიერად და გონებრივად. ამათზედ ლაპარაკიც კი არა ღირს, მათ როგორც ვირმუნ ნაგავს, ისე წაჰლეკავს და გადაჩეხავს უფსკრულში, ეროვნული ცხოვრების ახალი ნაკადი.

მე მხოლოდ მინდა მივაქციო ყურადღება იმ ახალგაზრდა ქალების ნაწილისა, რომელთაც არ იციან სამშობლო ენა, არ იციან საკუთარი ერის ისტორია და უბედურება ისაა არც სურთ იცოდნენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ ვინც ფრანგული, ინგლისური, გერმანული და რუსული შესწავლეს, ვერ შესძლეს ქართულის შესწავლა. ყველა ამ ენაზედ უფრო ადვილი შესასწავლი, საკუთარი ბოლგლიური ენაა, სამწუხაროდ არ კადრულობენ. რუსული უფრო წარჩინებული, უფრო არისტოკრატიული ენა ჰგონიათ, ქართული კი უვიცთ მიაკუთვნეს. ამათ არა აქვთ ეროვნული თავ-მოყვარეობა, მათ არ აინტერესებთ საქართველო, მისი დღევანდელი უბედურება გასაცემელი. ნუ თუ ეს გადაგვარებული ერთხელ მაინც არ ჩაუფიქრდება და არ ჰკითხავს თავის-თავს: რა მოდგმისაა? რა ჯიშის? რა ეროვნების? მაგრამ მისთვის ეს სულ-ერთია და ეს არის სამწუხარო და სავალალო.

იმ დროს როდესაც აქ ევროპაში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ ეროვნული გრძნობა უმაღლეს წერტილამდე განვითარებულია და პატრიოტიზმი უმაღლეს იდეალად არის დასახული, სირცხვილია ახალგაზრდა ქალი დარჩეს გამოურკვეველი, იქცეს არარად და მით დასძრახოს დიდებული წინაპარი სახიქადულო და საამაყო ქართველი ქალი!

დროა გამოფხიზლებისა! დროა გაიღვიძოს მათში სირცხვილის გრძნობამ და დაუბრუნდნენ სამშობლოს კერას.

ჩვენდა საიმედოთ, თუმცა მცირე რიცხვს, მაგრამ მაინც ძველი ქართველი ქალის ელფერით მოსილთ დღესაც ვხედავთ.

ქართველმა ქალმა ერის საშინელ განსაცდელის დროს თავი იჩინა ისე, ვით ეს მას სჩვევია. დღეს უბედურ საქართველოში, ქალი არა ნაკლებ მამაკაცისა ებრძვის მელურთა ბრბოებს. მტარვალთა მიერ მშობლების, ქმრის და ათასი ნაცნობ-მეგობრის წამებამ თვალი აუხილა და გულ-წრფელად მამაცურად ამოუყენა გვერდში, მებრძოლთ.

მან ზურგი აქცია მტარვალთა ძალა-უფლებას და სრულის შეგნებით, უშიშრად დაადგა წამების გზას. მას სწამს მომავალი და მისკენ მიისწრაფვის ურყევი ნების-ყოფით.

ზიზღით მეჰყურებს გულ-საკლავ დაცემას და მშფოთვარე და კეთილშობილი სულით ეძიებს საკადრისს და შესაფერ ცხოვრების პირობებს თავის თავისა და სამშობლოსათვის. ემიგრაციაშიაც ქართველი ქალი, თავის მოწოდების სიმაღლეზედა სდგას.

დაუღალავი შრომით, პატიოსანი ცხოვრებით იგი სამაგალითოა. ზოგი მათგანი უკიდურესი ძალ-დატანებით აზრდის შვილების საუცხოო აღზრდას და ჩვენდა სასიამოვნოდ აღწევს კიდეც მიზანს.

ასეთი ადამიანების წინაშე ქედს იდრეკს ყოველგვარი უკუღმართობა ცხოვრებისა და ისინი გამოდიან სპეტაკნი და გამარჯვებულნი ამ საშინელ ბრძოლიდგან. გულში იმედი ილვიძებს, როდესაც ხედავ არა ერთს ასეთ ოჯახს, სადაც და მრთელს ზნეობით, აღსავსეს ქართული სულით, ქართული ძლიერებით.

საყურადღებოა, რომ არც ჩვენ ლიტერატურაში და არც ჩვენს ცხოვრებაში არ არსებობს გარყვნილი და როსკიპი ტიპი ქართველი ქალისა. მის ბუნებას ეს არ შეეფერება, არ შეუძლია, ვერ იტანს, ამისთვის ის არ ვარგა.

ტიპი ქართველი ქალისა სხვაა. სხვა ღირსებებია მასში: იგი აღსავსეა სათნოებით, კდემა-მოსილებით, მოკრძალებით და თავ-დაჭერილობით გულ-კეთილი, მოწყალე და გამტანი. მორჩილი თავის ქვეყნის წესრიგის, მშობლების და ქმრისა. თუმცა სამწუხაროდ ზოგიერთებს ეს მორჩილება მონობა ჰგონიათ და ურჩობა მათდამი კი თავისუფლება. მაშინ როდესაც ეს ბრიყვობა მას სრულიად არ შეჰფერის, მორცხვობა, თავდაჭერილობა და მორიდებულება ყბად არის აღებული, სამწუხაროდ ზოგიერთ მამაკა ისგანაც კი «კეკელკობად» წოდებული. უთუოდ ზოგიერთმა არც კი იცის, რომ კეკელა ქართული სიტყვაა და ნიშნავს ლამაზს, ამისთვის იგი სახელადაა შემოღებული.

კეკელა კეკელკად რუსებმა გადააკეთეს, მიუმატეს თავისი «კა» და ისეთ ქალებს დაარქვეს, რომელნიც მათ ბრიყვულსა და უდიერ არშიყობას ჰკმობდნენ; რომელთაც არ მოსწონდათ მათი უწმაწური ხუმრობა, მასლაათი და გარყვნილი ანეკდოტები. სირცხვილია, რომ ეს ცინიკური მანერა არ გაიდევნოს ჩვენი საზოგადოებიდგან.

სჯობია ქართველი ქალი დარჩეს და იყოს კეკელა. თავისი კარგი თვისებებით, ვიდრე იგი „მანია», «ტანია», «ფანიას» დაემსგავსოს და გადიღოს მისი თავაშხნილი უტიფრობა.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენი იდეალი იყოს ჩიხტა-კოპით მოსილი ქართველი ქალი, პირ-იქით ჩვენ დიდი მომხრენი ვართ: რომ ქართველი ქალი აღიჭურვოს ევროპიული სწავლა—განათლებით, შეიძინოს რაც აკლია.

მაგრამ ამასთანავე ჩვენ გვინდა, რომ მან არ დაჰკარგოს ის, რაც მას აქვს, რაც შეადგენს საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ კეთილ თვისებებს ქართველი ქალისას.

მან უნდა გააგოს ხიდი წარსულსა და აწმყოს შუა, წარსულის ნიადაგზედ დაამყნოს აწმყო და ისეთი რამ შეიძინოს რაც საჭიროა ერისათვის, ოჯახისათვის და მომავალ თაობისათვის.

დასასრულ მოუწოდებთ ქართველ ქალებს, რაც შეიძლება მეტი მოქმედებისაკენ, ჩადგნენ თეთრ გიორგულ წმინდა ეროვნულ მოძრაობის რიგებში: ხელი შეუწყონ თავისი ფაქიზი სულის შეტანით, ვამამხნევებელი რჩევით და თავისი შრომისა და საქმიანობის უნარით წააქეზონ ყოველი ქართველი და მით გაზდნენ საამაყო წევრნი თ ე თ რ ი  გ ი ო რ გ ი- ს ოჯახისა.

მეგობარი.

პარიზი. 19 | 9 — 28.

---

## ქ ა რ თ უ ლ ი  ე კ ლ ე ს ი ა  პ ა რ ი ზ შ ი.

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  მ ა რ თ ლ - მ ა დ ი დ ე ბ ე ლ  ე კ ლ ე ს ი ი ს  ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი  მ ყ ო ფ  წ ე ვ რ თ ა  ს ა ს უ ლ ი ე რ ო  ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს  კ ო მ ი ტ ე ტ ი ს  გ ა ც ხ ა დ ე ბ ა.

21 ოქტომბერს 1928 წ. პარიზში შესდგა, საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიის საფრანგეთში მყოფ წევრთა სასულიერო ინტერესების კომიტეტი.

კომიტეტი იმყოფება უმაღლეს მართლ-მადიდებელ ავტორიტეტის, მსოფლიო პატრიარქის მფარველობის ქვეშ. კომიტეტის წევრები არიან: ქალბატონები: ანასტასია წერეთლისა და ელენე აფხაზისა და ბ. ბ. ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ დადიანი, ზურაბ ავალიშვილი, ილამაზ დადეშქელიანი, დავით ხხირტლაძე, იოსებ კემულარია, იაკობ ხოჭოლავა და ლევან ზურაბიშვილი.

კომიტეტის პირველი მიზანი არის, ქართულ მართლ მადიდებელ ეკლესიის და მასთან საკვირაო სკოლის დაარსება პარიზში და საზოგადოთ საფრანგეთში მყოფ ქართველ მართლ-მადიდებელთ ზნეობრივ და გონებრივ ინტერესების სამსახური.

ყველა იმ ქართველთ, რომელნიც თანაუგრძნობენ ამ დიად საქმეს და მომავალ ერევლში შესვლას აპირობენ, კეთილ ინებონ და წერილობით მიმართონ (ქვემო მოყვანილ ფორმის განცხადებით) კომიტეტის რომელიმე დელეგატს:

ან ბ-ნ **Ilamaz Dadechkéliani,**
**4, rue Récamier, Paris-7e.**

ან ბ-ნ **Joseph Kémoularia,**
**4 bis, rue des Morillons. Paris-15e.**

ან ბ-ნ **Lévan Zourabichvili,**
**20, rue Berthollet, Paris-5e.**

#### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს  ნ ი მ უ შ ი.

მე (სახელი, გვარი, წლოვანება) — მცხოვრები (სრული მისამართი) ამით ვაცხადებ რომ ვარ მართლ-მადიდებელი და ვეკუთვნი საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიას; მე თანაუგრძნობ საფრანგეთში მყოფ ქართველ მართლ-მადიდებელთაგან მრევლის შექმნის და ამ მრევლისაგან პარიზში თავის ეკლესიის აგების აზრს; ამ აზრის განხორციელებას დავეხმარები ჩემი შეძლების და მდგომარეობის მიხედვით.

[ხელის მოწერა]:

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ყოველი სრულწლოვანი წევრი ოჯახისა, წარუდგენს კომიტეტს ცალკე ამნაირ განცხადებას. მცირე წლოვანთ სახელები აღნიშნულ იქნებიან მხოლოდ ოჯახის თავის მიერ —აღრიცხვის მიზნით.

---

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ: რედაქცია სიამოვნებით ეგებება ასეთ დიდ მნიშვნელოვან საქმის დაწყებას. გამოხატქვამს იმედს, რომ კომიტეტის მოწოდება ჰპოვებს მხურვალე გამოძახილს საფრანგეთში მყოფ ქართველთა შორის და საერთო დახმარება—წაქეზებით შესძლებს მოკლე ხანში დააგვირგვინოს ეს ეროვნული საქმე.

ქართულ ეკლესიის საჭიროებას ყველანი კარგად ჰგრძნობთ. მაშინ როდესაც სხვა ერის კოლონიებს აქვთ პარიზში თავისი კულტის კერა, ჩვენ ქართველები აქაც ისე, როგორც მრავალ სხვა დარგში ჩამორჩენილნი ვართ ამიტომ ამ დიდი ნაკლის გამოსწორება ღირსშესანიშნავ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

---

### წერილი რედაქციის მიმართ.

(ვბეჭდავთ უცვლელად.)

პ ა ტ ო ნ ო  რ ე დ ა ქ ტ ო რ ო!

უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში, ჩემს განცხადებას.

1917 წლიდან ვიყავი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში 1921 წ. და 24 წლის შავბნელ დღეებამდი ჩაბმული ვიყავი ეროვნულ ბრძოლის ქარცეცხლში და განვიცადე ყველა ის უბედურებაში, რაც ჩვენმა საცოდავმა უპატრონო სამშობლომ განიცადა.

მთელი ჩემის არსებით გულდანდობილი ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიისადმი, მასში ვეძებდი ჩემს მისწრაფებათა განხორციელებას, ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას.

საქართველოდან პარტიულ ორგანიზაციათა დავალებით ჩამოვედი, რათა გაგვეერთიანებია აზრი და მოქმედება აქ ევროპაში და იქ საქართველოში, რომ ჩვენი მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო. ბევრი ძიების და ცდის შემდეგ, სამწუხაროდ დავრწმუნდი, რომ ჩემი და საქართველოში დარჩენილთა სულის-კვეთებას ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიის მეთაურნი და წევრნი ვერ დააკმაყოფილებენ. მე ვერ ვნახე მათში ერთსულოვნება, ვერ ვნახე ნდო, უნარი დისციპლინისა, სურვილი მუშაობა—მოქმედებისა.

ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ ეს პარტია დაინვრა აქ და საქართველოში ხომ სულ განადგურებულია. რადგანაც მე ვარ პასუხის მგებელი თანამოაზრეთა და ჩემი სინდისის წინაშე, ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას თავის მრავალ რიცხოვანი ლიდერებით არ შეუძლია ეროვნული ბრძოლის წარმოება.

არ არის დრო პირველობისთვის ბრძოლისა ერთმანეთს შორის. დღეს უნდა სავსებით და ნათლად იყოს გამოაშკარავებული გზა ჩვენი სვლისა.

ყველა ამის გამო გულგატეხილი ვსტოვებ ამიერიდან ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიას და ურჩევ ყველა სინიდისიერ ქართველს ვინც პოლიტიკანობაზედ და ერის უბედურებაზედ არ აშენებს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას ასე მოიქცეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნას პასუხისგება ერის წინაშე.

სერაპიონ ანთელავა.

11 | 12— 28 წ. ქ. ვალენტინიე.

---

### თ ე თ რ ი  გ ი ო რ გ ი ს  ს ე ქ ც ი ა.

ქ. ლიონში დაარსდა თეთრი გიორგის სექცია.

---

### თ ე თ რ ი  გ ი ო რ გ ი ს  ს ა ღ ა მ ო.

8 თებერვალს **45, 45 bis, rue Pierre-Charron, Salon George-V, Paris-8e. Tél. : Elysées 69-03.** გაიმართება საღამო თეთრი გიორგის სასარგებლოდ, რომელსაც ხელმძღვანელობს პატივცემული ქ—ნი თამარ დადიანისა.

---

### შეცდომების გასწორება.

მიწის საკითხის დამთავრების შემდეგ უნდა იყოს: მ ე ს ა მ ე  დ ღ ი ს  დ ა ხ უ რ უ ლ ი  ს ხ დ ო მ ა.

**Le Gérant : Felix KHALDENPACKH.**

**Imp. d'Ouvriers Sourds-Muets, 31, Villa d'Alésia, Paris-14e.**